345/1897/2

№ X

ეროვნული ბიბლიოთეკა

1897 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ძაღლი ლექსი—შ. მდგიმელისა 3
II თაგვები და კატა—თეოფ. კანდელაკისა 4
III სამართლიანი მსაჯული (ნათარგმნი)—თამარ და ედენსი . 14
IV ხარები და ურმის თვლები (ეზოპიდან.)—დ. მ. 18
V პატარა ლორდის თავ-გადასავალი, თავ. X და XI—ე—კოსი . 19
VI ღრუბელი—პეტრესი 33
VII გარიბალდის ცხოვრება—ვანოსი 37
VIII ამპარტავანი სონა—თ. კანდელაკისა 49
IX ვაშლი (რუსულიდან)—ბესარიონ ვაშაძისა 52
X მენავე და ვაჭარი—თ. კანდელაკისა 52
XI წერილმანი: ანდაზები, ანაგრამმა, გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და სხვა 53

თანახმათ მათი უწმინდესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს გადასწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

მოვაგონებთ „ჯ ე ჯ ი ლ ი ს“ ხელის მომწერლებს, რომ ვისაც ფული სრულათ არა აქვთ შემოტანილი, დაახჭარონ შემოტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3206

საუმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჭ.

№ X

წელიწადი მეორე

ტფილისი
სტამბა მ. ჭ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1897.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 8-го Октября 1897 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ ა ღ ლ ი.

ერთგული ვარ პატრონისა,
მიყვარს მისი სამსახური,
არაფერი მინდა სხვისა,
პატრონსაც აქვს ლუკმა პური.

—

ღამეს ვტეხავ, ვიყეფები,
ქურდებსა ვცემ შიშის ზარსა;
ერთ ალაგას არა ვდგები,
კარმიდამოს ვუვლი გარსა.

—

დღისით მოსვენებული ვარ,
ჩრდილში მძინავს სახლის წინა,
ჩემთვისა ვარ ჩუმათ ვგდივარ,
თუ არავინ ამაღრინა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვეგი და კატა.

Ვარგა ღამემ გაიარა და ყველაფერი მიწუნარებულია. შინ და გარეთ ჩამი-ჩუმი არ ისმის. ადამიანების ფეხის ხმა მიწყდა: ყველას გულიანათ სძინავს. კარ-მიდამოს დარაჯს „ოთხფეხსაც“ მოსვენებისთვის მიუცია თავი. გორგალივით მორგვალებული წევს და ტკბილ სიზმრებშია. თაგვის სუკებით გამაძღარი კატებიც დაცუცქებულან ტასტის ბოლოს და თავჩაქინდრული თვლემენ...

ამ სიჩუმეს უეცრათ რაღაც საშინელი ფხაკა-ფხუკი, წრიპინ-წრუწუნი და თქრიალი არღვევს. რა ამბავია? ქურდები ხომ არ მოეპარენ ფხიზელ მურიას? ან მდევარი ხომ არავის გამოუყენეს?.. არა, ფიქრი ნუ გაქვთ! ძილი არ გაიფთხოთ! სათაგვეთიდან მოისმის ეს ალიაქოთი და ფათური. იქ ახლა სოფლის ურილობაა; ქუდზე კაცია დამახილი: სალაებოზე თავს იურის თაგვობა, რაღაც თათბირი ექნებათ!.. აი ის გზირია, თოსარიკით რომ დარბის აქეთ-იქით და წრუწუნით აწიოკებს იქაურობას!..

— რა ეშმაკმა შეგიკრათ ე ფეხები! დაღამება ვეღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაიგოთ? თუ მოდიხართ, მოდით რაღა, დროით, თქვე ოჯახქორებო, თორემ მე ვიცი მე თქვენა! ე მანდ გათენებამ არ გვისწროს და... მაშინ დაგიდგებათ ოკი! ომახიანათ ეკირის თაგვი-გზირი ცხრაულვაშა —გმელკუდიანი.

— ცხრა-ულვაშავ! ვინც დააკლდეს, ან დროზე არ მოვიდეს, ემანდ მდივანს წრუწუნა კუდ-ბაწარაშვილს ჩაეწერინე, მერე ზეკუცია ჩაუყენეთ და სუ გაანიორწულეთ! ერთი დუქინი მარჯვე ბიჭები შეჭეარე და ყველანი სარჩოსაბადებლიდან ცარიელზე დასვით: კაკალი უჭოვოთ თუ თხილი, მვალი თუ რბილი— დაარბიეთ და ქვრივ-ობრებს, ობლებს, ხელ-მოკლეებსა და სნეულ თაგვებს გაუნაწილეთ! გასცა ბძანება დიამბეგმა ვირთაგვა ღიპიანმა ტუჩების ცმაცუნით, თვალების ბრიალითა და ულვაშების წმაწვნით.

მოგეცათ ლხენა, ბატონ ვირ-თაგვას ზავთიანმა ხმამ ყველას თავზარი დასცა! ფაცხა-ფუცხით გამორბოდა სორროებიდან თაგვობა და უკანა ფეხების ჩლიქებზე დგებოდა, რომ ურილობის შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო.

დაიწყო დენა თაგვთა საზოგადოებამ; სულ მილი-ძილი მოდიოდენ და მთელი სალაყბო აივსო. იქ მოხუცებულებიც ბევრი ერია, ასალგაზდობა უფრო მეტი და, ასე გასინჯეთ, მანდილოსნებიც კი მოსულიყვენ თავიანთ მუმუთა წრუწუნა-ღლაპებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საქმე გაგჩენიათ, რომ ამ სისხლი ჰური ჭამი დროს ქუდზე კაცს გვეძახით? სახლ-კარი უპატრონოთ გაგვიშვია, სუ რო აგვიკლონ, ამბის მოტანიც აღარავინ დაგვრჩენია შინაო, დაეკითხა ერთი მოხუცებული თაგვი თხილიპარიაშვილი.

— ახლავე გაიგებთ!.. ვაჟბატონებო და ქალბატონებო! მიზეზი ამაღამდელი ჩვენი უეცარი ერილობისა გახლავთ ის, რომ რაიმე ღონე ვიღონოთ და ჩვენ თავს წამალი დავდოთ, რომ ასე ვიღუპებით; თორემ აქ აღარ გვედგომება. უნდა ავიკიდოთ გუდა-ნაბადი და გადავიხვეწოთ ჩვენ მიწა-წყლიდან, მამა-პაპეულიდან; ან თვალები ავიხვიოთ და ადიდებულ წყალს მივეცეთ. დაიწყო თავჯდომარემ თაგვუნა ზაზუნიშვილმა: —სული დგმა კი აღარ არი, შვილონიასა, ამ სატაურების გადამკიდე და! დღე არ გვაქვს მოსვენება და ღამე! კარებში ცხვირი ვეღარ გამოგვიყვია! ხან ერთს ააწრუწუნებს ი სახელ გასაწყვეტი და ხან მეორეს!.. რამდენი ღლაპი დაუობლებია, რამდენი ვაჟკაცი-თაგვი დაუქვრიგებია, რამდენი დანიშნული პატარძალი აუტირებია და უქმროთ დაუსვამს, რამდენი ბედნიერი ცოლ-ქმარი უშვილ-უძეოთ დაუგდია, რამდენი თავმომწონე ბრგე ვაჟკაცი დაუსახიჩრებია ჩვენ სათაგვეთში და ცხარე ცრემლი უღვრევინებია!. დროა, მივხედოთ ამას და ერთი იმის ოხტში მოვიდეთ!..

— ი, დასწყევლოს ღმერთმა! ბამბის თათები აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მატულისა! კაცო, ისე მოგვპარებია, რომ ვერაფერს ვერ გაიგებ, სანამ ქაოიბს ზედ არ შემოგაფხრეწს! დაუმატა ერთმა ჭალარა შერთულმა თაგვუნამ:—ამ ხნის კაცი დავბერდი და მაგაზე ეშმაკი და ღონიერი არა მინახავს რა! ლომიც გაგეგონებათ ზღაპარში, სპილო, ვეფხვი, მაგრამ კატუნიასთან ვერც ერთი ვერ მოვა თურმე... სწორეთ იმ ფაფუკი თათების წუალობითაა, თორემ ის ჩვენ ამ დღეში ვერ ჩაგვაგდებდა...

— ეჰ, ძმაო, კუდამდი ტუკვი კი გაგვამრო იმ ავაზაკმა და გინდა თათები შველოდეს, გინდა კლანჭები!

— კლანჭებს ნულარ მომაგონებ, მამა გიცხონდა!.. ერთხელ, ჩემ პატარა ბიჭობაში რომ იმისი გემო ვიგემე, ღმერთმა დუშმანსაც აშოროს! დღესაც ტანში ჟრუანტელი მივლის იმის მოგონებაზე და მას აქეთია გულის კანკალი მაქვს! წამოიძახა ერთმა „ქაჩალაია“ თაგვუნიამ უველიპარიაშვილმა.

— აგრე რომ მოვევეთ ეველა თავის დარდსა და ნაღველს, შორს წავა, რადგანაც იმ სრუტუნა მტრისაგან თითოეულ ჩვენგანს რაიმე უსიამოვნება, შეურაცხყოფა და უბედურება სწვევია და უწვნევია; ეკელას გული გვაქვს მისგან დაკოდილი!.. ჯობს, ისევ საქმეზე ვილაპარაკოთ, საქმეზე!.. თორემ სამკითხავოა ჩვენი საქმე!.. რა ღონისძიება მივიღოთ, რომ მეუდროთ და მშვიდობიანათ შეგვეძლოს ცხოვრება ჩვენ ცოლ-შვილში? გააწუვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ, ბატონმა ვირ-თაგვა ღიპიანმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვთა საზოგადოებამ ხმა გაკმინდა, თითქო ყველას ენა მუცელში ჩაუვარდაო; ულვაშების გრეხას მოჰყვენ და კუდებს დაუწყეს თამაშობა, როგორც კრიალოსანს.

— უნდა გითხრათ, ბატონებო, რომ ე ჩვენი ქურქის „შლეიფები“ (კუდები) გვღუპავს და გვიყენებს თვალებსა! სიმარდე და სიმკვირცხლე იმ ხრუტუნებზე ნაკლები არ მოუცია ღმერთს, მაგრამ რა გამოვიდა: ერთხელ რა ეო-



ფით ძლივს შევასწარ ხვრელში, მეგონა, ეს არის ღმერთმა მიშველა-მეთქი, რომ ამ დროს ძწვდა შლეიფზე, „ვერ წახვალო“, მომაძახა და წამათრიკიალა! იქით მე და აქეთ ისა! კიდე იღბალი ჩემი, რომ კუდი შერჩა ჰირში, თორემ... დღეს ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდენ! წამოიწეო ერთმა ჯახმაკმა კუდუსუნა-თაგვუნიამ, რომელსაც კუდის რიკი-ღა შერჩენოდა ციცუნიასთან ბრძოლის მემდეგ: — აქ შემომხედეთ კუდუსუნზე, რომ თქვენი ბედნიერი თვალით დარწმუნდეთ ჩემ სიტუვების სინამდვილეში; სწორეთ კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები გვღუპავენ და გვღალატობენო, დაბოლოვა კუდალამ და მიუშვირა პატივცემულ საზოგადოებას კუდის რიკი.

თაგუნიებ შორის ერთი ისეთი საშინელი სიცილი ატუდა, რომ კუდუსუნა სირცხვილით უურებამდი გაწითლდა, უკან-უკან დაიწია და მოშორებით კუნძზე ჩამოჯდა გულნაწუენათ, რომ მოერიდებინათ თვალი იმის კუდუსუნისთვის!..

— შე დალოცვილიშვილო, ახლა კუდებს ხო ვერ დავიგლეჯთ! ეგ არის, კუდები დაგვჭერი და ქვეუნის მასხარა გაგვხადე... ეგლა გვაკლია!.. მერე? სადღა გამოგვეოფება თავი? მტერთან ჩვენ ვეღარ მივალთ და მოკეთესთან!.. ჩვენი ტომი კუდით არის ნაქები, სხვა რა ხეირი გვაურია! არა შენ რა მადლობელი ხარ, ბეჩა, შენი ბედისა! კი არ გეწუინოს და ნახევარი კაცი აღარა ხარ, მმაო, მას აქეთ, რაც კუდუსუნა გახდიო, გაუტრიზ ვეს სიტუვა საცოდავ კუდას მტერ-მოუვრებმა.

ამას შემდეგ წამოდგა წინ თაგვუნა კუდბაწარაშვილი, აიუაუვა უკანა თათებზე, ერთი ჩაახველა და სიტუვის ნება ითხოვა: —ნება მიბოძეთ ერთი სიტუვა მეც მოგახსენოთ და თუ ჭკუაში მოგივათ, ხომ კარგი, თუ არა და — თქვენ იცით! ამდენი ხიფათისა და უბედურობის თავიდან ასაცილებლათ, ჩემი მოკლე ფიქრით, ურიგო არ იქნებოდა ჩვენ ხრუტუნა ხატაურს ეელზე ეჟვანი შევაბათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეოველ მის ფეხის გადადგმაზე ეჟვანმა ქლარუნი დაიწეოს და გაგვაგებინოს იმისი იქ ეოფნა. ჩვენც, გავიგონებთ თუ არა ეჟვნის ხმას, თავს ვუშველით, როგორც ლმერთი და ჩვენი ჯკუა-გამოცდილება გვაგონებს: ვეცვეთ აქეთ-იქით საძრომებს, ვნახოთ მაშინ რა შეილიცა ბძანდება ჩვენი ბატონი კატუნია!..

ჯკვიან და გამოცდილ, დარბაისელ თაგვებს ეს სიტეეა არ ეპიტნავათ; ჯაღარა ულვაშებზე ხელი გადაისვეს და საეჯვოთ თავის ქნევას მოჰეეენ; ხოლო ახალგაზდობამ და მანდილოსანთა საზოგადოებამ აღტაცებული ტაშის კვრით მოუწონეს მდივანს აზრი და ეველამ ერთხმათ შესძახეს:

— აფერუმ, თაგვუნა კუდ-ბაწარაშვილო, აფერუმ! ვაშა, ვაშა! სწორეთ ჩინებული აზრია, ჩინებული! ეოჩაღ კუდ-ბაწარავ, ეოჩაღ! სწორეთ ჯკვიანი კაცი ხარ! ცარიელი გოგრა ხარ, ცარიელი, მე და ჩემმა ლმერთმა! რამ მოგაგონა, შე კუდრაჯავ, ამისთანა გონება-მიუწდომელი აზრი?..

— ეგ არის, გვეშველა, ხალხნო! ახლა ფიქრი ნუღარაფრისა გაქვთ! ჩვენ ბედს ძაღლი აღარ დაჰეეფს! ვისუნსულოთ უშიშრათ საკუჯნაოებში, ოთახებში, ბეღლებში, შკაფებში, თარეებზე, მურაბებისა და ერბოს ქილებში!.. მაგრამ ერთი შენიშვნა კი უნდა მივცე ბატონ კუდ-ბაწარას: იმანა ბძანა ეჟვანი შევაბათო; ეჟვანი კი არა, კარგი წკრიალა ზარი უნდა დავკიდოთ კატუნიას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან გავიგონოთ ხმა! დაუმატა ცხრა ულვაშა ქონიჰარიამ.

— მართალია, მართალი! ზარი ჯობია, ზარი!.. შეჰყვირა ერთხმათ უმეტესობამ.

— მაშ მოდით, ძმებო, ერთი ამ ჭოჭს დავეწაფოთ ⁄ ჩვენი გენიოსი კუდ-ბაწარას სადღეგრძელო დავლიოთ! ერთი კარგათ გავმხიარულდეთ, ქუდი ჭერსა ვკრათ და ჩვენი თაგვური ძრავალჟამიერიც შემოვძახოთ ციცუნიას გულის გასახეთქათ! — თქვეს უმაწვილებმა, მივიდენ იქვე, სახლის იატაკიდან ჩამონადენ წუმპეს ჰირას და გადაჰკრეს თითო ჭიქა ჭოჭი. ჭიქებს—ჯამებიც მიაყოლეს, ჯამებს — ჯიხვები და მუცელი გაიჭიკნეს! ეველანი მეტათ გამხიარულდენ, დაივიწყეს წარსული ჭირ-ვარამი, დასძახეს თაგვუნა — ბიჭებმა „ტაში, ტაშიო!", დაჰკრეს თაგვუნა-ბოგოებმა ტაში, დაირა, დიპლიპიტო და გაიმართა ლხინი... გაუსვეს ლეკური, დავლური, ბაღდადური, რომ სუ ბდღვირი აადინეს იქაურობას! რამდენიმე მარჯვე ბიჭებმა დასტაცეს თათები წრეწუნა კუდ-ბაწარაშვილს და ციმციმ ჰაერში აიტაცეს ამაღამდელ ასპარეზზე გამარჯვებისათვის... ერთი სიტყვით, ლხინი გამართეს, ისეთი ლხინი, რომ სახლის კუთხე-ბანი ბანს ამლევდა...

შემოესმათ კატებს ეს ალიაქოთი, ეურები ცქვიტეს, მარდათ წამოხტენ და ეური დაუგდეს თაგვების მეჯლიშს.

— კატუნი, კოტე! ერთი შეხედე, შენ თვალებს ვენაცვალე, რა ეოფა აქვთ ამ კუდრაჯა თაგუნიებს! წაჩურჩულა მუ კატამ თავის ქმარს მუჯლუგუნის კვრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალი ალარ ვეოფილვარ და თავზე ჩიქილა ალარ მხურებია, თუ ჩვენი გამოჯავრებით არ მხიარულობენ ეგ სორომმვრალები!.. ჩემი შვილების მზემ, რაზედაც გინდა დამენ ძლევე, რომ ეგენი ცუდ რამეს გვიპირებენ!..

მაგრამ კოტე უურებსაც არ იბერტყავდა, ის ლომივით „გამოჯგიმულიეო“ კარებში დოინჯ შემოყრილი, ჯუჯრუტანიდან ჩაჭკირკიტებდა აბაგუნიებს, თან გულიანათ ხითხითებდა და სიამოვნების ნიშნათ მუცლით კარების საფეხურს ეხახუნებოდა..

— შენ კარგათ მეავდე, ჩემო ციცუნია! მიუგო ხვადმა თავის მეუღლეს; მაგათზე მეტი მტერიც ნუ გვეოლია!.. დეე, შეექცენ, იმხიარულონ!.. აჭაი, თქვე მასხარებო, თქვენა? ხა, ხა, ხა, ხა!!. რა მეცინება, შენ გენაცვალე!.. ხა, ხა, ხა!.. ვაიმე დედავ, ფერდები დამაწყდა სიცილითა!.. რა დასაკვნეტები ხართ, თქვე ვერანებო, თქვენა! თქვენი მგლები კი შეგასრამუნე, თქვენი!.. ნეტა რა წერას აუტანიხართ! აი, თქვენი აშენებული სოფელი კი დაიქცეს!.. ერთი აქ ამობძანდით და ვნახოთ, რა ვაჟკაცებიცა ბძანდებით!..

ბუზიც ვერ აუფრინეს თაგუნიებმა ჩვენს ციცუნი-

ებს. ცხოვრებენ თავისთვის ბატონურათ. სწორე კითხრა, საჭმელ-სასმელზე იზრუნებენ: ღმერთმა ამრავლოს თაგვობა! ხან ერთს შეახრამუნებენ, ხან მეორეს ჩააკნატუნებენ, ხან მესამეს გამოწიწკნიან და თბილი სისხლით ყელ-გულს ილბობენ. არაფერი ხსნა და შველა არ მიეცათ საწყალ თაგვუნიებს!..

— ზარი და ეჟვანიო?! იკითხავთ თქვენ გაკვირვებით: —ნუ თუ არა უშველესრა იმათაო?!

— ზარი? ჰო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა! მოგახსენებთ: იმ ღამესვე შეიარაღდენ რამდენიმე მარჯვე თაგვები და მოიპარეს ერთი მდიდარი კაცის საწერ სტოლიდან ჰაწაწინა წკრიალა ზ რი და რახა-რუხით ჩაათრიეს სათაგვეთში. ერთმა თაგვმა კიდევ შვენიერი ალისფერი აბრეშუმის ლენტიც მოჰპარა ქალბატონს საკერავებიდან; დიდი ამბით მოაბეს ზარს, რომ კატუნიასთვის ყელზე შეებათ. მაგრამ ცოტა რამ დაბრკოლება გადაეღობათ წინ და იმის გამო ვეღარ განახორციელეს თავიანთი განზრახვა: ვერ წარმოიდგენთ, ან რა წარმოსადგენია და დასაჯერებელია, რომ ამ გულად თაგვთა საზოგადოებაში დღემდისინ ერთი ისეთი ხერხიანი და გამბედავი თაოსანი კაცი არ გამოჩნდა, რომ აეღო ეს ზარი და კატუნიასთვის ყელზე შეება!.. ზოგმა თქვა: მეზარებაო, ზოგმა თქვა: ლენტის გამონასკვა არ ვიციო, ზოგმა რა, ზოგმა რა და დარჩა-დარჩა აქამდისინ!..

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანი მსაჯული.

(ნათარგმნი).

ლეჟირის ერთ ქალაქში ცხოვრებდა მსაჯული, რომელიც საოცარი სისწორით ასამართლებდა მომჩივნებს. იმისი სამართლიანობის სახელი შორს იყო განთქმული. ალჟირის მეფემ ბაუაკასმა მოინდომა თითონ დარწმუნებულიყო, მართალი იყო თუ არა, რასაც ამბობდენ ამ მსაჯულზე, ჩაიცვა ეაჭრის ტანსაცმელი და გაემგზავრა იმ ქალაქისკენ, სადაც ცხოვრებდა ეს შესანიშნავი მსაჯული. ქალაქის შესავალთან მას მიუახლოვდა გლახაკი და მოწყალება თხოვა. ბაუაკასმა მისცა ფული და გაუდგა თავის გზას, მაგრამ გლახამ ტანისამოსში სტაცა ხელი და არ უშვებდა.

— „ახლა რალა გინდა, ჰკითხა ბაუაკასმა, ხომ მოგეცი რასაც მთხოვდი?“

— „მოწყალება კი მომეცი, უპასუხა გლახამ, მაგრამ ერთი რამ კიდევ შემისრულე: მიმიყვანე შენი ცხენით მოედნამდის, თორემ აქლემები და ცხენები გამსრესენ“.

ბაუაკასმა შემოისვა გლახაკი ცხენზე და მიიყვანა მოედნამდის. მოედანზე ბაუაკასმა გააჩერა ცხენი, მაგრამ გლახა არ ჩამოდიოდა.

— „ჩამოდი, ხომ ხედავ მოვედით—უთხრა მეფემ“.

— „მე რათ უნდა ჩამოვიდე, ცხენი ხომ ჩემია, ძალიან მიკვირს რატომ შენ არ ჩამოდიხარ? იქნება ცხენის მითვისება გინდა?“ —უპასუხა გლახაკმა.

ბაუკასი გაკვირვებული შეჰყურებდა გლახაკს. გლახაკი კი გაიძახოდა: ცხენი ჩემია, თუ ნებით არ მომცემ, მსაჯულთან წაგიყვანო. ამასობაში ხალხი შეგროვდა მათ გარეშემო და უყურებდა ჩხუბს. ბოლოს დაიძახეს,—წადით მსაჯულთან, ის გაგასამართლებთო.

ბაუკასი და გლახაკი წავიდენ მსაჯულთან. სასამართლოში მათ ბევრი მომჩივნები დახვდათ. მსაჯული თითონ ჰკითხავდა ვისაც მასთან საქმე ჰქონდა. სანამდის რიგი ბაუკასამდი მიაღწევდა, მსაჯულმა გამოჰკითხა ნასწავლსა და გლეხს, რომლებიც მოსულიყვენ საჩივლელათ ცოლის თაობაზე. გლეხი ამბობდა: „ეს ქალი ჩემი ცოლი არისო“,—ნასწავლი კი ჩემიაო. მსაჯული დაფიქრდა და უთხრა მათ: დატოვეთ ქალი აქ და ხვალ მოდითო.

როდესაც ესენი გაისტუმრა, შემოვიდენ ყასაბი და მეერბოე; ყასაბი სისხლით იყო გასვრილი, მეერბოე კი ერბოთი. ყასაბმა თქვა: „მე ვიყიდე ამ კაცისგან ერბო, ამოვიღე ქისა, მომვარდა და უნდოდა წაერთმია. ახლა მოვედით შენთან. მე მიჭირავს ხელში ქისა და ჰას კი უჭირაეს ჩემი ხელი, მაგრამ ფულები ჩემია, ეს კი ქურდია“.

მეერბოემ თქვა: „ეს ყველაფერი ტყუილია. ყასაბი მოვიდა ჩემთან ერბოს საყიდლათ. როდესაც ავუწონე ერბო, მან ამოიღო ოქრო და შემეხვეწა დამეხურდავებია, მე ამოვიღე ფულები და დავდე დახლზე, ამას უნდოდა წაეღო და გაქცეულიყო. ამ დროს მივვარდი, დავიჭირე და მოვიყვანე აქ“.

მსაჯულმა ცოტა ფიქრს შემდეგ უთხრა მათ: „დამიტოვეთ მე ფულები და თქვენ ხვალ მოდით“.

როცა რიგი ბაუკასამდის მივიდა, მან უამბო თავისი საჩივარი. მსაჯულმა მოუსმინა მას და ჰკითხა გლახაკს. გლახაკმა თქვა: „მე მოვდიოდი ცხენით ქალაქში, ეს კი იჯდა მიწაზე და მთხოვა ცხენზე შემომესვა. მე შემოვისვი და მოვიყვანე სადამდისაც მთხოვდა. მაგრამ არ ჩამოვიდა და ცხენიც დაიჩემა“.

მსაჯული ჩაფიქრდა და თქვა: „დატოვეთ ცხენი და ხვალ მოდითო“. მეორე დღეს ბევრი ხალხი მოგროვდა განაჩენის მოსასმენათ.

პირველათ მოვიდენ ნასწავლი და გლეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წაიყვანე შენი ცოლი, უთხრა მსაჯულმა ნასწავლს,—გლეხს დაჰკარით 50 წკეპლა.

ნასწავლმა წაიყვანა თავისი ცოლი, გლეხი კი აქვე დასაჯეს.

შემდეგ მსაჯულმა ღაუძახა ყასაბს.—„ფულები შენია", უთხრა მან ყასაბს; მერე მიუთითა მეერბოეზე და თქვა: „მას 50 წკეპლა!"

ბოლოს დაუძახეს ბაუაკასს და გლახაკს.—„იცნობ შენ შენ ცხენს ოც სხვა ცხენში?" ჰკითხა მსაჯულმა ბაუაკასს.

— „ვიცნობ".

— „შენ?"

— „მეც ვიცნობ",

— „აბა წამოდი". უთხრა მსაჯულმა.

წავიდენ თავლაში. ბაუაკასმა იმ ჭამსვე იცნო თავისი ცხენი ოც სხვა ცხენში.

შემდეგ მსაჯულმა გლახაკი შეიყვანა თავლაში და უთხრა ეჩვენებინა თავისი ცხენი.

გლახაკმა იცნო და აჩვენა მას. მაშინ მსაჯული დაჯდა თავის ადგილს და უთხრა ბაუაკასს:

— ცხენი შენია, წაიყვანე. გლახაკს კი 50 წკეპლა დაჰკარით".

ამას შემდეგ მსაჯული წავიდა სახლში, ბაუაკასიც თან გაჰყვა.

— რათ მოგყვები, განა ჩემი განაჩენის კმაყოფილი არა ხარ? ჰკითხა მსაჯულმა.

-- არა, მე კმაყოფილი ვარ, უპასუხა ბაუაკასმა,—მაგრამ მინდა შევიტყო, როგორ მიხვდი, რომ ქალი იყო ნასწავლისა და არა გლეხისა, რომ ფულები იყო ყასაბისა და არა მეერბოესი, და ცხენი იყო ჩემი და არა გლახაკისა?

— ქალი რომ ნასწავლის ცოლი იყო, აი როგორ მივხვდი: დავუძახე დილას და ვუთხარი, ჩემს საწერელში მელანი ჩაესხა. მან წაიღო საწერელი, ჩქარა გარეცხა და ხერხიანათ ჩაასხა შიგ მელანი. ჩანს ის მიჩვეულია ამისთანა საქმეების გაკეთებას. ის რომ გლეხის ცოლი ყოფილიყო, ამას ასე ვერ მოახერხებდა, გამოდის, რომ

ნასწავლი მართალი ყოფილა. ფული ეისი იყო, აი როგორ შეეიტყე: ჩავყარე ფულები წყლით სავსე ფინჯანში. ამ დილას რომ დავხედე, დავინახე, რომ ქონი არ მოეგდო. ფული რომ მეერმოესი ყოფილიყო ერბოთი იქნებოდა გასვრილი; წყალში ერბო არ იყო, მაშ ყასაბი მართალს ამბობდა. ცხენის ამბავის შეტყობა უფრო ძნელი იყო: გლახაკმა ოც ცხენში ისე იცნო შენი ცხენი, როგორც შენ, მაგრამ მე თქვენ იმისთვის კი არ წამიყვანიხართ თავლაში, რომ შემეტყო იცნობდით თუ არა ცხენს, მე მინდოდა შემეტყო: რომელ თქვენგანს იცნობდა ცხენი. როცა შენ მიუახლოვდი, მან მოაბრუნა თავი და გამოიწია შენკენ. როცა გლახაკი მივიდა, მან ყურები ცქვიტა და ფეხი ასწია. ამით მე მივხვდი, რომ პატრონი შენ იყავი".

მაშინ ბაუკასმა უთხრა მსაჯულს:

— მე ეაჭარი კი არა ვარ, მეფე ბაუკასი ვარ. მოვედი შესატყობათ, მართალია თუ არა რასაც შენზე ამბობენ. ვხედავ, რომ ბრძენი მსაჯული ხარ. მთხოვე რაც გინდა და დაგასაჩუქრებ.

მსაჯულმა უპასუხა: „საჩუქარი მე არ მინდა. მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეფისგან ქება დავიმსახურეო."

თამარ და ელენე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარეგი და ურმის თვლეგი.

(ეზოპიდან)

ერთ ღელი ხარი დატვირთულ ურემს
ეზიდებოდა,
მძიმე ტვირთისგან ორივ საწუალი
იჭაჭებოდა.

—

ცოტა იარეს და ურმის თვლებმა
მორთეს ჭრიალი:
„—თქვენ რა შუაში ხართ!“—უთხრეს ხარებმა—
„გულის ფრიალი
მძიმე ურემმა ჩვენ აგვიტეხა
და ჩვენ ვიკითხოთ,
რა გაჭრიალებთ ნეტავი ერთი
კაცმა რო გკითხოთ?“

—„—

ბევრი კაცია მით იკლავს ნდომას
რომ ისაკუთრებს მოძმისა შრომას.

დ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაკარა ლორდის თავ-გადასავალი.

X.

მოულოდნელი ამბავი.

ოულოდნელმა ამბავმა და მწუხარებამ მალე დაავიწყა მოხუც გრაფს რძლის სიძულვილი.

ერლკორტში მუშაობის გათავების წინა დღეს გრაფმა სადილათ სტუმრები დაპატიჟა; დიდი ხანი იყო, დორინკორტის სასახლეს ამისთანა სტუმრობა აღარ ენახა; დანიშნულ დღეზე ერთი კვირით წინ დორინკორტში გრაფის ერთათ-ერთი და, ქალბატონი ლორიდეილი ჩამოვიდა თავის ქმრით; ესეც დიდი საკვირველი ამბავი იყო; მას აქეთ, რაც ის ამ 35 წლის წინათ გათხოვდა, ერთხელ მეტათ აღარ ყოფილა ძმისას; ლედი ლორიდეილი სასიამოვნო შეხვედულობის და კეთილი გულის მოხუცი ქალი იყო; მას არ მოსწონდა ძმის მოქმედება და ყოფაქცევა და მიტომაც შეწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი. უფროსი ძმისწულები, ბევისი და მორიცი არც კი ენახა, მხოლოთ კაპიტან ეროლს იცნობდა, რომელმაც ერთხელ გზათ შეიარა და რამოდენიმე დღე გაატარა მამიდასთან; გრაფის და აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზდა კაცის ჭკუამ, სილამაზემ და მხიარულმა ხასიათმა, გულით უნდოდა, ერთხელ კიდევ ენახა ძმისწული, მაგრამ სასტიკმა გრაფმა აღუკრძალა შვილს თავის დასთან სიარული.

ლედი ლორიდეილი ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა ხოლმე ეროლს და, თუმცა არ მოსწონდა მისგან ამერიკელი ქალის შერთვა, მაინც ძალიან წყენდა, გრაფმა რომ ისე სასტიკათ დასაჯა. რამოდენიმე წლის იქით მასთან სამივე ძმისწულის სიკვდილის ამბავმა მიაღწია, ისიც გაიგო, ეროლის შვილი გრაფს ამერიკიდან გამოუწერიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმასაც დალუპავენ, როგორც სხვები დალუპეს!—უთხრა მან ქმარს,— ისევ დედა თუ რამეთი გადაარჩენს...

მაგრამ როცა გაიგო, დედა და შვილი ერთმანეთისათვის დაუშორებიათო, მეტი ველარ მოითმინა.

— საძაგლობაა, უგულობაა! — იძახოდა ის.—როგორ შეიძლება ადამიანმა ისეთი პატარა ბავში დედას დააშოროს და იმისთანა ადამიანის ამხანაგათ გახადოს, როგორიც ჩემი ძმაა! ან ნამეტნათ გაანაზღებს, ან და სულ დააშინებს თავის სიავით. როგორ ფიქრობ, არ ეჯობინება წერილი მივწეროთ ჩემ ძმას?

— სულ ტყუილი შრომა იქნება, კონსტანცია!—მიუგო ქმარმა.

— მაინც აგრე იქნება! კარგათ ვიცნობ ჩემ ძმას! მაგრამ რა ექნა, გული რომ ვერ მოითმენს?

მალე ქალბატონ ლორიდეილთან საკვირველმა ამბებმა მიაღწია: მას გადასცეს ხიჯინსის საქმე, გადასცეს კოჭლი ბავშის თავ-გადასავალი, ერლკორტში ახალი ქოხების აშენების საქმე. მას მოენატრა ამ ამბების გმირის, პატარა ლორდის ნახვა და სანამ იმის ფიქრში იყო, რა ნაირათ უნდა მოვახერხო და სურვილი ავისრულოო, ძმისაგან დორინკორტში დაპატიჟების წერილი მოუვიდა.

— გაუგებარი ამბები ხდება!—წამოიძახა მან.—მართალია, მითხრეს, დორინკორტში ყველაფერი შეიცვალაო, მაგრამ აქამდის არა მჯეროდა. ამბობენ, გრაფი აღტაცებულია, შვილიშვილის მეტი აღარაფერი ახსოვს, ახლა ეტყობა, უნდა ყველას აჩვენოს, დაიტრაბახოს მითი!—და ქალბატონმა ლორიდეილმა დორინკორტში წასვლა გადაწყვიტა.

როცა სასახლეში მივიდა თავის ქმრიანა, ის პირდაპირ თავის ოთახში წავიდა ტანსაცმელის გამოსაცვლელათ და მარტო სადილათ ჩამოვიდა სასადილო ოთახში; იქ დაინახა ბუხრის წინ ამაყათ წამოჭიმული გრაფი; ის ჩვეულებრივათ მედიდურათ გამოიყურებოდა, მის გვერდით კი შავ ხავერდის ტანისამოსში გამოწყობილი პატარა თმახუჭუჭა ბავში დაცუქცუქებდა; ბავში ისეთი შვენიერი იყო, რომ

ქალბატონმა ლორიდეილმა ძლივს შეიკავა თავი, კინაღამ აღტაცებისაგან წამოიყვირა. მან ხელი ჩამოართვა ძმას და ჰკითხა:

— მოლინე, ეს არის შენი შვილი-შვილი?

— ჰო, კონსტანცია! —მიუგო გრაფმა.—ფაუნტელროი, ეს შენი ბაბუდა არის, ქალბატონი ლორიდეილი.

— გამარჯობა, ბაბუდა, როგორ ბრძანდებით? —უთხრა პატარა ლორდმა და მიუახლოვდა.

ქალბატონმა ლორიდეილმა ხელი მხარზე დაადვა პატარა ვაჟს, შეხედა პირდაპირ შვენიერ თაფლის ფერ თვალებში და შუბლში აკოცა.

— მამიდა კონსტანცია დამიძახე, — უთხრა მან.—მე ძალიან მიყვარდა მამაშენი, ძალიან გაეხარ მას!

— ყოველთვის მიამება ხოლმე, მამიდა კონსტანცია, როცა მეტყვიან, მამას ჰგავხარო; —მიუგო ცედრიკმა.—უთუოთ აქ ის ძალიან უყვარდათ... როგორც „ძვირფასი“! —ცოტა ხანს იქით დაუმატა მან.

ქალბატონმა ლორიდეილმა ისევ გადაკოცნა ყმაწვილი და ამ დღიდან ისინი ძალიან დამეგობრდენ.

როცა პატარა ლორდი მათ მოცილდა, და გრაფს მიუბრუნდა:

— რა შვენიერი ბავშია, მოლინე!

— მართალია! -- ციცათ მიუგო გრაფმა.—კარგი ბავშია და ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. ეგ დარწმუნებულია, რომ მე დიდი ქველმოქმედი კაცი ვარ. არ დაგიმალავ, კონსტანცია, რომ როგორც მოხუც სულელს შეეფერება, ძალიან შემიყვარდა.

— მერე მაგის დედა რას ფიქრობს შენზე? —პირდაპირ ჰკითხა დამ.

— მე იმისთვის არ მიკითხავს! —ყრუთ უპასუხა გრაფმა.

— ჩვეულებრივათ გულახდილათ გელაპარაკები. პირდაპირ გეტყვი, რომ შენი მოქმედება არ მომწონს. მე უსათუოთ ვნახავ ქალბატონ ეროლს, თუ ეს არ მოგწონს, ბარემ ახლავე წავიჩხუბოთ. ყველაფერი, რაც კი გამიგონია ახალგაზდა ქვრივზე, ამტკიცებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ძალიან კეთილი და ჭკვიანი ქალი უნდა იყოს. ყველა ღარიბ-ლატაკი მისი თაყვანის მცემელია.

— მაგის თაყვანის მცემელია! — მიუგო გრაფმა და ფაუნტელ-როიზე ანიშნა, — აი, ნახავ, რომ ეროლის ცოლი ძალიან ლამაზი ქალია, შვილი ძალიან ჰგავს; თუ მისი ნახვა გინდა, მე არ გიშლი, მხოლოთ ერთს გთხოვ: დააჯერე, რომ კორტ-ლოჯიდან არსად წავიდეს; იმას კი ნუ მომთხოვ, რომ მასთან ვიარო.

ამ ლაპარაკს შემდეგ ქალბატონი ლორიდეილი თავის ქმარს ეუბნებოდა:

— ცხადია, რომ გრაფს აღარ ძულს თავისი რძალი! ძალიან გამოცველილა ჩემი ძმა, თითქმის ველარც კი ვცნობ; მადლობა ღმერთს, გაიღვიძა, როგორც იქნა, მაგის გულშიც კეთილმა გრძნობამ, შვილი-შვილის სიყვარულმა; წარმოიდგინე, ბავშსაც უყვარს, თავისუფლათ შედის მის ოთახში, ხელს დაადებს ხოლმე მუხლზე, ხან და ხან მის საკარძელსაც კი მიეყრდნობა ხოლმე; ჩემი ძმისწულები ვერაოდეს ვერ გაბედავდენ მაგას, მგონი აფთარს უფრო გულადათ მიუახლოვდებოდენ, ვიდრე საკუთარ მამას!

მეორე დღესვე ქალბატონი ლორიდეილი ეროლის ცოლის სანახავათ წავიდა და დაბრუნების უმალვე ასე უთხრა ძმას:

— მოლინე, შვენიერი ქალია! რომ იცოდე, რა ხმა აქვს! ვერცხლის ზარსავით რაკრაკებს! ძალიან უნდა უმადლოდე იმ აღზრდისათვის, რომელიც შვილისთვის მიუცია, მარტო თავის სილამაზე კი არ გადაუცია ვაჟისთვის, ჭკუით და კეთილი გულითაც უხვათ დაუჯილდოვებია; ძალიან ცუდი გიქნია, აქ რომ არ მოგიწვევია. მე უსათუოთ უნდა დავპატიჟო ჩვენსას.

— არ დათანხმდება შვილის მოცილებაზე! — მოუჭრა სიტყვა გრაფმა.

— ორივე ერთათ უნდა მოვიდენ ჩემთან! — ღიმილით მიუგო ქალბატონმა ლორიდეილმა.

მან კარგათ იცოდა, რომ გრაფი შვილიშვილს არაფრით არ დაუთმობდა, მაგრამ ესიამოვნებოდა მისი გაჯავრება და გახელება.

სტუმრობის დღეც დადგა. ქალბატონ ლორიდეილს კარგათ ესმოდა, რომ გრაფი სტუმრებს მხოლოთ მისთვის პატიჟობდა, რომ შვენიერი შვილიშვილით დაეტრაბახნა მათ წინ, სტუმრებიც პატარა ლორდის სანახავათ მოდიოდენ; აი, ბოლოს ისიც შემოვიდა სასტუმრო ოთახში.

— ჩემი შვილიშვილი კარგი გაზრდილია!—წინ-და-წინვე გამოუცხადა გრაფმა სტუმრებს.—თავს არავის მოგაწყენსთ; ბავშები საზოგადოთ ან სულელები არიან, ან ნამეტანი თავწასულები, ნახავთ, რომ ჩემი პატარა სულ სხვა ნაირია; გიპასუხებსთ, როცა რამეს ჰკითხავთ და გაჩუმდება, როცა რიგი იქნება.

მაგრამ პატარა ლორდს გაჩუმება არ დაჭირვებია, ყველა რამეს ჰკითხავდა, ყველას სურდა, მისი ნათქვამი გაეგონა; ქალები ეფერებოდენ, კაცები ეხუმრებოდენ და ეთამაშებოდენ; პატარა ლორდს ვერ გაეგო, რათ იცინის ყველა ჩემ სიტყვებზეო, მაგრამ ხედავდა, რომ ყველა მხიარული იყო, ხედავდა, რომ ბაბუას დღესასწაული შვენიერათ მიდიოდა და თითონაც ძალიან კმაყოფილი იყო. სასახლეს დიდი ოთახები საუცხოოთ იყო გაჩაღებული სხვა და სხვა ლამპრებით და სულ ერთიანათ ყვავილებით მორთული; კაცები ხმა მაღლა ლაპარაკობდენ, ქალები შვენიერათ იყვენ მორთული, ყელზე და თმაში სულ ძვირფასი ქვები უბრჭყვინავდათ. ერთი ახალგაზდა ქალიშვილი ცედრიკს საშინლათ მოეწონა; ეს იყო მაღალი და წვრილი, მოხდენილი ქალი, ლურჯი ყვავილებიანი ლამაზი თვალებით და ახლათ გაფურჩქნილ ვარდსავით შვენიერი სახით; მას თეთრი კაბა ეცვა და კისერზე მარგალიტის რამდენიმე ძაფი ჰქონდა შამოხვეული; ამ ქალიშვილის გარშემო სულ ახალგაზდა კაცები ირეოდენ და პატარა ლორდმა წარმოიდგინა, ეს ნამდვილათ ხელმწიფის ქალი უნდა იყოსო. ბავშმა თვალი ვეღარ მოაშორა ლამაზ ქალს და ნელ-ნელ შეუმჩნევლათ უახლოვდებოდა მას; ბოლოს ქალიშვილმა, ევიანმა, ყურადღება მიაქცია პატარა, თმახუჭუჭა ვაჟს.

— მოდით აქ, ფაუნტელროი!—ღიმილით დაუძახა მან.—რათ მოგმჩერებიხართ აგრე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმიტომ რომ ძალიან ლამაზი ხართ!—მიუგო პატარა ლორდმა.

ახალგაზდა კაცებმა გაიცინეს, ვივიანმა კი მხარზე ხელი დაადვა ბავშს, მოიწია და შუბლში აკოცა.

— თქვენზე ლამაზი არავინ არ მინახავს:—აღტაცებით წამოიძახა ცედრიკმა,—მხოლოთ „ძვირფასი“ გჯობიათ! მაგრამ, მე მგონია, „ძვირფასი“ მთელ ქვეყანას ჯობია.

— მეც დარწმუნებული ვარ მაგაში!—უპასუხა ვივიანმა და ხელ ახლა აკოცა.

ნახევარი საათის განმავლობაში ვივიანმა დაწერილებით გაიგო ბავშის ყველა ამერიკელი მეგობრების ამბავი; ბოლოს ცედრიკმა დიკის ნაჩუქარი ხელსახოციც ამოიღო და აჩვენა ახალგაზდა ქალიშვილს.

— დღეს იმიტომ ჩავიდეთ ჯიბეში,—აუხსნა მან გულწრფელათ, რომ დიკს უთუოთ იამება, როცა გაიგებს, მისი ცხვირსახოცი რომ ამდენ სტუმრებში ვიხმარე.

ბავშის თვალებში ისეთი გულკეთილობა გამოიხატა, რომ ყველას გულში თანაგრძნობა აღეძრა.

— მე ძალიან მიყვარს დიკი!—დაათავა პატარა ლორდმა.—ის ჩემი მეგობარია.

თუმცა ცედრიკს ყველა აქცევდა ყურადღებას, ის მაინც არავის აწყენდა თავს; მან გაჩუმება და ყურის გდებაც იცოდა; ბევრი სტუმარი მალულათ იღიმებოდა, როცა დაინახავდა, რომ ცედრიკი ბაბუას მიუახლოვდებოდა, მის სავარძელს მიეყრდნობოდა და ყოველ მის სიტყვას ყურადღებით ისმენდა. ერთხელ ლოყით ბაბუას მხარსაც შეეხო; გრაფმა გაიღიმა, ყველა სტუმრებმაც მის მაგალითს მიჰბაძეს. გრაფს ესიამოვნებოდა, ყველა რომ ხედავდა ბაბუა-შვილიშვილის ასეთ სიყვარულს.

მისტერ ხევიშამს სადილათ ელოდენ, მაგრამ მან ძალიან დაიგვიანა; ეს პირველათ დაემართა, ყოველთვის თავის დროზე მოსვლა იცოდა. ყველამ შენიშნა, რომ ხევიშამი არა ჩვეულებრივათ ფერმკრთალი და აღელვებული იყო.

— მოულოდნელმა ამბავმა დამაგვიანა!—თქვა მან.

სტუმრები სასადილო ოთახში გაემგზავრენ; ხევიშამს არა უჭამიარა, ერთი ლუკმაც არ ჩაუდვია პირში; ნასადილევს, როცა სტუმრები ტკბილეულობას შეექცეოდენ, *) ოთახში ფაუნტელროიც შემოვიდა: ხევიშამმა რაღაც სხვანაირი თვალით შეხედა და არც კი

*) ინგლისში ბავშები სადილს არ ადგენენ და მარტო ნასადილევს შედიან დიდებთან ტკბილეულობის საჭმელათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიღიმა, როცა ხელს ართმევდა. ხევიშამი ხედავდა ამ სადღესასწაულოთ გაჩაღებულ ოთახებს, მხიარულ სტუმრებს, ამაყ მოხუც გრაფს, თმახუჭუჭა ვაჟს მის გვერდით და გულში სულ ის უტრიალებდა, რა საშინელი ამბავი უნდა შეეატყობინო გრაფსო. არც კი ახსოვდა, რამდენ ხანს ეზიარ აქო, არც კი შეუნიშნავს, რა გაკვირვებით მისჩერებოდა მას მოხუცი გრაფი.

სადილი გათავდა; ყველა სასტუმრო ოთახში გადავიდენ, პატარა ლორდი ეივიანს მიუსკუპდა და მასთან ერთათ ნახატებიან წიგნს დაუწყო თვალიერება.

— ძალიან მადლობელი ვარ, „რომ მიქცევეთ!—უთხრა ახალგაზდა ქალიშვილს ცედრიკმა.—მე პირველათ ვხედავ ამდენ სტუმრებს. დრო ძალიან კარგათ გავატარე.

ვიკიანს ახალგაზდა კაცები შემოეხვიენ და ლაპარაკი დაუწყეს; ცედრიკი ყურს უგდებდა, უნდოდა გაეგო, რას ლაპარაკობდენ, მაგრამ ნელ-ნელა თვალები დაეხუჭა, ხუჭუჭი თავი ყვითელი აბრეშუმის ბალიშზე დაეშვა და ბავშს ტკბილათ ჩაეძინა. ძილში მოესმა, ვითომც ეივიანი ეთხოვებოდა. ის თავის სახლში მიდიოდა.

— შვიდობით, ფაუნტელროი! ნახვამდის'—უთხრა მან მძინარე ბავშს და სიყვარულით აკოცა.

ცედრიკი ცდილობდა, თვალები გაეხილა, მაგრამ ვერ მოახერხა, წაილაპარაკა:

— ნახვამდის. რა ლამაზი ხართ!—და მაგრათ ჩაეძინა.

როგორც კი დაიშალენ ყველა სტუმრები, ხევიშამი ბავშს მიუახლოვდა და დაჩერდა; ცედრიკს ბავშური, უმანკო ძილით ეძინა; ოქროს ფერი თმა შვენიერათ გადაშლილიყო აბრეშუმის ბალიშზე, —სანახავათ სანატრელი იყო შვენიერი ბავშის ძილი. ხევიშამი დიდ ხანს მისჩერებოდა და თან ნიკაპზე ხელს ისვამდა.

— რა მოხდა, რა ამბავია!—მოესმა ამ დროს გრაფის ხმა. ხევიშამი მობრუნდა, მაგრამ არა უპასუხნიარა. გაიარა რამოდენიმე წუთმა. ბოლოს ხევიშამმა დაიწყო:

— საუბედურო, ძალიან უსიამოვნო ამბავი უნდა შეგატყობინოთ... ძალიან, ძალიან სამწუხარო ამბავი...

გრაფმა დიდი ხანია შენიშნა ხევიშამის დალონება და საძაგელ გუნებაზე იყო.

— რას მიჩერებიხართ აგრე ბავშს?—წყრომით დაიძახა მან.— მთელი სალამო მაგისთვის ყვავსავით თვალი არ მოგიცილებიათ. ლორდ ფაუნტელროის რაში შეეხება თქვენი უსიამოვნო ამბავი?

— სწორეთ მაგას შეეხება, გრაფ!—მიუგო ხევიშამმა.—ჩვენ წინ ლორდ ფაუნტელროის არ ძინავს: ეს ბავში კაპიტან ეროლის შვილია, სხვა არაფერი, ნამდვილი ლორდ ფაუნტელროი კი, თქვენი უფროსი შვილის, ბევისის, შვილი ამ წუთს ლონდონში იმყოფება.

გრაფი წაბარბაცდა და სავარძელს წააღლო ხელი, სახეზე საშინელმა ფერმა გადაჰკრა.

— ტყუილია!—დაიძახა მან.—ტყუილი! ვინ გითხრათ ყველა ეგ?

— არა, ტყუილი არ არის!—მიუგო ხევიშამმა.—საუბედუროთ, მართალია. ამ დილას მოვიდა ჩემთან ერთი ქალი და გამომიცხადა, რომ თქვენი შვილი, ბევისის, ცოლია; თურმე ამ ექვსი წლის წინეთ ჩუმათ 'მეურთავეს ლონდონში, დასამტკიცებელი ქალალდებიც კი მაჩვენა. ერთი წლის იქით ცოლ-ქმარი წაჩხუბებულან და ბევისს ცოლისთვის ფულები მიუცია, ოღონდ კი თავი დამანებეო. ხუთი თუ ექვსი წლის შვილი ჰყავს; ამერიკელი ქალია, ეტყობა დაბალი წოდების უნდა იყოს, სრულებით უსწავლელია, მარტო ამ რამოდენიშე დღის წინ გაუგია, რომ მის შვილს უფლება აქვს სიმდიდრე მიიღოს. ახლა თხოულობს, თავიანას ნურას დაიკლებთო.

ხუჭუჭა თავი შეინძრა აბრეშუმის ბალიშზე, მაგრამ ცედრიკს არ გაღვიძებია; ის მხოლოთ გადმობრუნდა და გრაფისკენ იბრუნა სახე, თითქო უნდოდა, გრაფს უკეთესათ დანახვებოდა.

მწარე ღიმილი აუთამაშდა გრაფს ტუჩებზე.

— ერთ სიტყვასაც არ დავიჯერებდი, ჩემი შვილი ბევისის სასაძაგლეში რომ დარწმუნებული არ ვყოფილიყავი!—თქვა მან.— თქვენ ამბობთ რომ მისი ცოლი უსწავლელია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დარწმუნებული ვარ, თავისი სახელის მოწერაც არ შეუძლია. ფულის მეტი არა ახსოვსრა. ძალიან ღამაზია, მაგრამ სულაც არ იზიდავს ადამიანს მისი სილამაზე.

ხევიშამი შეჩერდა. გრაფს საფეთქლებზე ძარღვები აებერა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. მან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი მოიწმინდა და ისევ მწარეთ გაიღიმა.

— მე კი... მე ამ ბავშის დედას არ ვიკარებდი!—თქვა მან და ცედრიკზე მიუთითა. —მძულდა, მეჯავრებოდა იგი... აგრე მომიხდება! დასჯის ღირსი ვარ!

გრაფი წამოხტა და ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო, თანაც საშინლათ ილანძღებოდა; სიშიში დასანახავი იყო ის ამ დროს, მაგრამ ხევიშამი მაინც გაკვირვებით ნიშნავდა, რომ გრაფს მძინარე ბავში არ ავიწყდებოდა და ხმას არ იმაღლებდა.

— უფროსი შვილები ყოველთვის მარცხვენდენ!—იმეორებდა გრაფი,—იმათაც ვძულდი მე და მეც მძულდენ ისინი... ბევისი ყველაზე უარესი იყო.—არა! არ მჯერა! არ დავუთმობ იმ საძაგელ ქალს... მაგრამ ბევისისაგან ყველაფერი მოსალოდნელია!

ბოლოს გრაფი დამშვიდდა, მიუახლოვდა მძინარე ბავშს და თავზე დაადგა.

— ვინ იფიქრებდა,—ყრუ ხმით დაიწყო მან.—რომ ასე შემიყვარდებოდა ეს ბავში! ჩემი შვილები არ მიყვარდა, ეს კი გაგიჟებით მიყვარს... ამასაც უყვარვარ!—მწარე ღიმილით დაუმატა გრაფმა.—ამას არ ეშინია ჩემი, გულ ახდილია, არაფერს მიმალავს... ღირსეულათ დაიჭერდა ჩემ ადგილს, არ დაცემდა ჩვენ სახელს და ჩვენ სახლს.

გრაფი დაიღუნა და რამდენიმე ხანს ყურადღებით ეყურებდა მძინარე ბავშის სახის ბედნიერ გამომეტყველებას; წარბები მოღუშა, მაგრამ სახეზე სისასტიკე მაინც არ ეტყობოდა; მან გადაუწია ბავშს შუბლიდან ხუჭუჭი თმა და დარეკა:

— აიყვანეთ ლორდ ფაუნტელროი,—მიუბრუნდა ის შემოსულ მსახურს,—და ფრთხილათ წაიყვანეთ ზევით დასაძინებლათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

გობსი და დიკი.

მისტერ გობსმა ძალიან მოიწყინა, როცა მისი პატარა მეგობარი ინგლისში წავიდა; აღარაფერი აღარ ეხალისებოდა; მისი ერთათ ერთი დროს გატარება გაზეთების კითხვა იყო, მაგრამ ახლა აღარც გაზეთები ართობდენ, ეიღასთვის უნდა გადაეცა იქიდან ამოკითხული ამბები? ჯერ მისტერ გობსი სულ დარწმუნებული იყო, რამე მიზეზის გამო ცედრიკი ისევ უკან დაბრუნდებაო და ყოველ დღე მოელოდა მის მოსვლას, ეჩვენებოდა, აი, აგერ გაიღება კარი, შემოვა პატარა თმახუჭუჭა ბავში და მეტყვის: „გამარჯობა მისტერ გობსო“!—მაგრამ გადიოდა დღეები და ბავში არ ბრუნდებოდა. მისტერ გობსი სულ უფრო და უფრო იწყენდა; ის დაღონებით მისჩერებოდა ხოლმე ცედრიკის მაღალ სკამს, მერე ამოიღებდა ოქროს საათს, გახსნიდა, წაიკითხავდა ცედრიკის მოგონილ ზეწარწერას, დახურავდა ისევ და ჯიბეში ჩაიდებდა. საღამოობით, დაკეტდა თუ არა დუქანს, გობსი სასეირნოთ გამოვიდოდა ქუჩაში, მივიდოდა თავის პატარა მეგობრის სახლამდის, წაიკითხავდა იქ გამოფენილ ქაღალდს, „ეს სახლი ქირავდებაო“, და დაღონებული ბრუნდებოდა შინ. ასე გაიარა რამოდენიმე კვირამ. უეცრათ მისტერ გობსს ერთმა აზრმა გაურბინა თავში; მან მოინდომა პატარა წაღების მწმენდელი, დიკის, გაცნობა, რომელზედაც იმდენ რამეებს უყვებოდა ხოლმე ცედრიკი; იმედი ჰქონდა, სევდას გავიქარვებ, როცა დიკთან ერთათ ჩვენ პატარა მეგობარზე ვილაპარაკებო.

ერთ შვენიერ დღეს, როცა დიკი გულმოდგინეთ უწმენდდა გამვლელ-გამომვლელებს წაღებს, მას მიუახლოვდა მსხვილი, ბელატი, შუა ხნის კაცი და ისე ყურადღებით დაეჩერდა დიკის გულზე მიკრულ რკინის ნიშანს, რომელზედაც ეწერა: „დიკ ტიპტონი, საუცხოოთ წმენდს წაღებსო“, რომ ამ უკანასკნელმა ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელ ვაქსით მიბრძანებთ, რომ გაგიწმინდოთ?

მსხვილი კაცი დაჯდა და ფეხი გამოაშვირა. დიკმა წალის წმენდა დაიწყო.

— საიდან იშოვნეთ ეგ ნიშანი?—ჰკითხა გობსმა.

— ჩემმა მეკობარმა, პატარა ვაჟმა მაჩუქა. ყველაფერი, რაც კი ჩემი ხელობისათვის არის საჭირო, იმან მიყიდა, ახლა ინგლისში და მალე გრაფათ გახდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— უთუოთ ეგ ბავში ლორდ ფაუნტელროია!—თქვა გობსმა. —ის, რომელიც ერთ დროს გრაფ დორინკორტი გახდება, არა?

დიკს წაღის საწმენდი ხელიდან გაუვარდა.

— როგორ, თქვენც იცნობთ იმას?—სწრაფათ ჰკითხა მან.

— მის დაბადებიდანვე! —მიუგო გობსმა და გაწითლებული სახე მოიწმინდა. —დაბადების დღიდანვე!

გობსმა ამოიღო ოქროს საათი, გახსნა და ზეწარწერა აჩვენა დიკს.

— აი, როცა ინგლისში წავიდა, ეს საათი მაჩუქა. ასე მითხრა, არ მინდა რომ დამივიწყოთო, მაგრამ არაფერიც რომ არ ეჩუქებინა, მაინც არ დავივიწყებდი. ისეთი კარგი მეგობარი იყო!

— იმაზე უკეთესი ბავში ქვეყანაზე არ მინახავს! —წამოიძახა დიკმა.—ერთხელ ბურთი შეუვარდა ეტლის ქვეშ, მე გამოვუღე და არაოდეს არ დავიწყებია, ყოველთვის დამიძახებდა ხოლმე, როცა აქ გამოვლიდა და ისე დამიწყებდა ლაპარაკს, თითქო დიდი ყოფილიყო, ჩემ მუხლზე მაღალი კი არ იყო. რა მხიარული იყო მერე! ყველას ამხიარულებდა! ახალისებდა!

— მართლა! —ამოიოხრა გობსმა.—ძალიან სამწუხაროა, გრაფათ რომ ხდება! შვენიერი ვაჭარი გამოვიდოდა!—და ვაჭარმა მწუხარეთ გაიქნია თავი.

დიდხანს ისაუბრეს გობსმა და დიკმა და ბოლოს ისიც გადაწყვიტეს, რომ მეორე დღეს დიკი გობსის დუქანში მივიდოდა; დიკი ძალიან გახარებული იყო იმისთანა მდიდარი და გავლენიანი კაცის დაპატიჟებით, როგორიც მედუქნე იყო.

— გრაფებზე და ინგლისზე ხომ არა წაგიკითხავთრა?—ჰკითხა გამოთხოვების დროს გობსმა.

— ერთ გაზეთშია მათზე გძელი მოთხრობა!—მიუგო დიკმა.

— მომიტანეთ იმ გაზეთის ნომრები!

ამით დაიწყო მათი მეგობრობა.

როცა დიკი დუქანში მოვიდა, მისტერ გობსმა ძალიან კარგათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღო, მიუწია ეაშლებით სავსე გობი და უთხრა, რამდენიც გინდა, მიირთვიო, თითონ კი დიკის მოტანილ გაზეთებს დაუწყო კითხვა. რამოდენიმე ხანს იქით საუბარიც დაიწყეს; გობსმა დაათვალიერებინა თავის სტუმარს ცედრიკის პატარა სკამი;—ყოველთვის აქ იჯდა და სულ ფეხებს აპარტყუნებდა ხოლმე, როცა რამეს ეუყვებოდი; აი, კიდეც დააჩინა თავის პატარა ქუსლების კვალი სკამის წინ; ერთ დროს ეს გრაფ დორინკორტის ფეხების კვალი იქნება! საკვირველებაა!

ახალმა მეგობრებმა ერთათ ჭამეს ეახშამი დუქნის უკან, პატარა ოთახში; მათი ეახშამი შედგებოდა ყველისაგან, თევზებისაგან, თეთრი პურისაგან, გარდა ამისა გობსმა ორი ბოთლი ღვინოც კი გახსნა.

— ჩვენი ცედრიკის სადღეგრძელო დაველიოთ!—დაიძახა მან და ორივემ თითო სტაქანი გადაჰკრეს.

ე—კო.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ რ უ ბ ე ლ ი.

ოსო კლასში დღეს მორიგეა; იმან უნდა გამოართვას მოსამსახურეს ცარცი, გაასუფთავოს საკლასო დაფა და ისე მზათ უნდა დახვდეს მასწავლებელს.

სოსო ადრე ადგა, ჩაიცვა ტანთ, პირი დაიბანა და სკოლისკენ გაექანა. მოვიდა თუ არა სკოლაში, თავის საქმეებს შეუდგა. თუმცა საქმეები მალე გაათავა, მაგრამ კლასიდან გარეთ ვერ გავიდა ამხანაგებთან სათამაშოთ, რაკი მორიგეთ იყო. დარჩა მარტო ჩვენი სოსო. დგას კლასის დაფის წინ, ხან სწერს და ხან შლის დიდი ღრუბლით. მოუჭერს ხელს ღრუბელს,— შეიკუმშება, გაუშვებს— გაიშლება.

— ნეტა როგორ აკეთებენ ამ ღრუბელს, ფიქრობს სოსო.—მოდი დავეკითხები მასწავლებელს, სად აკეთებენ ამისთანა ღრუბელს.

შემოვიდა თუ არა კლასში მასწავლებელი სოსომ თხოვა: ამიხსენ, საიდან ჩნდება ეს ღრუბელიო!

მასწავლებელმაც მისი სურვილი დააკმაყოფილა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამბო შემდეგი: „ეს ჩვენი ღრუბელი ცხოველია და ისიც ზღვის ცხოველი. უეჭველია გაგიკვირდება, მაგრამ, ღრუბელი რომ ცხოველია, ადვილათ შეგიძლია შეატყო. აიღე ღრუბლის ჰატარა ნაჭერი, დასწვი და მაშინვე გამოიღებს დამწვარი ძვლის, თმის ან ბუმბულის სუნს. ასეთი სუნი კი მცენარეს არასდროს არ უდის; ეს ახირებული ცხოველი ზღვის ფსკერზე იზრდება. ჩვენ რომ ახლა ხელში გვიჭირავს, ეს თვითონ ცხოველის ჩონჩხია. როცა ღრუბელი ცოცხალია, მაშინ, როგორც ჩვენ ძვალზე ხორცია შემორტყმული ისე ამ ჩონჩხზე შემოკრულია გარედანაც და შიგნიდანაც წებოსებური ლორწოიანი კანი. ღრუბელს რომ დაუკვირდე შენიშნავ აურაცხელ ჰატარა ჯუჯრუტანებს, რომელშიაც ჩადის წყალი. წყალში ურევია სხვა-და-სხვა თვალისთვის უჩინარი ცხოველები და როცა წყალი მიადგება ჯუჯრუტანას, მაშინვე გაიღება იგი და ჰატარა ბუსუსი, რომელიც ჯუჯრუტანის კიდეზეა მიმაგრებული, გაუმახვებს წყალს ქვევით. წყალი ასე მოგზაურობს ერთი მილიდან მეორემდის, სანამ არ ჩავა უმთავრეს მილში და იქიდან გამოვა გარეთ. წყლის მოგზაურობით სარგებლობს ღრუბელი; რაც წყალში საჭმელი ურევია, ყველაფერს ულაჰავს და ასე იკვებება.

ეს ცხოველი მრავლდება ორ ნაირათ: 1) ნასახი გამოჩნდება ღრუბლის ძირში, სწორეთ იმ ადგილას, სადაც

ღრუბელია მიმაგრებული ზღვის ფსკერზე. ამ ადგილზე ჯერ ამოიკუზება პატარა ბუშტი, მერე ეს ბუშტი, კვერცხსავით დამრგვალდება და გამოისხამს ირგვლივ პატარა ბუსუსებს. ცოტა ხანს შემდეგ ეს კვერცხის მაგვარი ბუშტი მოწყდება თავის დედას, დაიწყებს ზღვაში ცურვას და რამდენსამე დღეს შემდეგ მიეკვრის სადმე ზღვის ფსკერს და, თუ ხელი მოემართა, გაიზრდება დიდ ღრუბლად. 2) შეიძლება ღრუბელს მოეგლიჯოს ერთი ნაწილი, ეს ნაწილი გაემგზავრება საცურავად, მიეკვრის ქვას, დაბინავდება და იქ დაიწყებს ცხოვრებას.

ღრუბელი ზღვებში ბევრგან არის; ჩვენ რომ ღრუბელს ვსმარობთ, ამას უფრო ხშირად შოულობენ შავ და ხმელთა-შუა ზღვაში. ღრუბლის შოვნა სამ ნაირად შეიძლება: ჩასხდებიან ნავში, ხელში დაიჭერენ ოთხთით ჩანგალს და, სადაც შეამჩნევენ ღრუბელს, ჩაასობენ და ამოიღებენ ზევით; ან ზღვაში გადისვრიან ბადეს, ბადე გაეფინება ფსკერზე და მერე ათრევენ, სადაც კი ღრუბელი შეხვდება, ეველა შიგ ბადეში მოჰყვება და ასე ამოიღებენ ზევით. ან მოიბამენ წელზე ვიწრო ყელიან კალათს და, შენიშნავენ თუ არა ღრუბელს, დაიყურჭუმელავებენ წყალში. უცებ მოჭრიან ფსკერზე მიკრულ ღრუბელს და ჩაუშვებენ კალათაში.

ღრუბელი ძალიან ძალე იზრდება. ორ წელს შემდეგ მოჭრილ ადგილას ხელახლა სამაგიერო გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ დაჯერილ ღრუბელს ჩაჭერიან წელიან ორმოში და დაუწყებენ ფეხით ზელას. ზელაში ლორწო შორდება და რჩება მარტო მოთელილი ჩონჩხი. ვისაც უნდა რომ ღრუბელი რბილი და ნაზი გამოდგეს, მასზე დაასხმენ ძმარს. ძმარი ამოსჯამს შიგ რაც მაგარი კირეულობა არის ჩარჩენილი. ამ გვარათ მომზადებული ღრუბელი საუკეთესო არის.

პეტრე.



გარიგალდის ცხოვრება.

თუ გეოგრაფია გისწავლია, ან ქვეყნიერების რუქა გინახავს, ჩემო ბატარა მკითხველო, გეცოდინება, რომ დასავლეთისაკენ, ევროპაში, არის ერთი დიდი ნახევარ-კუნძული, რომელსაც იტალია ჰქვია. შეგირდები ხომ მას მეტ სახელათ ჩექმას უმახიან, რადგანაც რუქაზე მართლა იმგვარი მოუვანილობისაა.

ასლა იტალია წარმოადგენს ერთ დიდ ძლიერსა და თავისუფალ სახელმწიფოს, რომელსაც საკუთარი მეფე მართავს. ამ ასი წლის წინეთ კი იტალია ძალიან დაქსაქსული და დაწიწკნილი იყო. მთელი ჩრდილო ნაწილი სხვა სამეფოს, ავსტრიას, ეკუთვნოდა. დანარჩენი ნაწილიც რამდენიმე სამეფოებათა და სამთავროებათ იყო დაყოფილი. იმის მაგიერ რომ შეერთებულიყვენ და მტერს აღარ დამორჩილებოდენ, ყველა ბატონობას ცდილობდა, ერთმანეთის სისხლსა ღვრიდენ, არა მე უნდა ვიყო ჰირველი, არა მეო, მამული კი ამით იღუჰებოდა. სალხი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარიბებული იყო, ბრიყვი, გაუნათლებელი. მაგრამ გამოჩნდა კაცი, რომელმაც დაქსაქსული მამული შეაერთა, შექმნა ძლიერ სახელმწიფოთ და სამშობლოცა და თავისი თანამემამულეებიც დაღუპვისა და გაქრობისაგან იხსნა. ეს კაცი იყო ჯუზეპე გარიბალდი.

ჯუზეპე გარიბალდი დაიბადა ქალაქ ნიცაში 1807 წ. 22 მკათათვეს. მამა მისი დომენიკო ვაჭრობით არჩენდა ცოლშვილს. ჯუზეპე მეტათ ცელქი და ცქრიალა ყმაწვილი იყო; სიპატარავიდანვე ყველა უყვარდა, ყველა ებრალებოდა, ჰირუტეებიც კი უყვარდა და ეცოდებოდა; ზოგი ერთი ყმაწვილივით მათი წვალება არ იცოდა. ერთხელ უცაბედათ ჭრიჭინას ფეხი მოგლიჯა და მთელი ორი საათი იტირა. მათხოვარი ისე ებრალებოდა, რომ, თუ არაფერი ექნებოდა, ტანისამოსს გაიხდიდა ⁄ მისცემდა. პატარა ჯუზეპეს ჯერ ძმა ასწავლიდა, შემდეგ არენა. არენა ერთობ კარგი მასწავლებელი გამოდგა. გარიბალდიც ძალიან ბეჯითი მოსწავლე იყო ⁄ ეა ეოველისფერს დიდის სალისით სწავლობდა. მას მომეტებულათ უყვარდა თავისი სამშობლო ენა. რადგანაც მაშინ მის სამშობლო ქალაქში ფრანგული ძალიან გავრცელებული იყო, ამიტომ ხშირათ იტალიელმა ბავშებმა ფრანგული კარგათ იცოდენ, სამშობლო ენა კი არა. გარიბალდი მათ არა ჰგავდა, სამშობლო ენას გულდასმით სწავლობდა და სხვებს დასცინოდა: როგორ არა გრცხვენიაო, თქვენი დედა-ენა არ იცითო. იტალიის

ისტორიის კითხვაში გარიბალდი მთელ დღეებს ატარებდა ხოლმე და, როდესაც თავის მამულის ძველ გმირებს წარმოიდგენდა, ხშირათ იტყოდა: რატომ არ შეიძლება, იმგვარი გმირები კიდევ დაგვებადოს, ჩვენი მამული გათავისუფლდეს და კვლავ გაძლიერდესო. რადგანაც გარიბალდის ზღვა ეახლოვებოდა, მან ცურვა საუცხოოთ შეისწავლა. რვა წლისა იყო, როდესაც ერთი დედაკაცი დახრჩობას გადაარჩინა. შემდეგშიაც ვინაცის, რამდენი ადამიანი არ გადაარჩინა სიკვდილს. სხვას რომ გაჭირვებაში დაინახავდა, თავის თავი დაავიწყებოდა; ხშირათ სხვა გადაურჩენია, მაგრამ თითონ კი განსაცდელში ჩავარდნილა. როდესაც გარიბალდი წამოიზარდა და ნათლათ დაინახა, რა გასაჭირ მდგომარეობაშიაც იმყოფებოდა მისი მამული, გული დაეთუთქა და იფიქრა, ამგვარ სიცოცხლეს სწორეთ სიკვდილი ჯობიაო. ან მამული უნდა ვიხსნა, ან ჩემი თავი ცოცხალი აღარ მინდაო. მან კარგათ იცოდა, რომ ‘ამულის დახსნა ადვილი საქმე არ იყო, თავდაჰირველათ მომზადება იყო საჭირო, ამიტომ გარიბალდი გაემგზავრა ამერიკას იმ მიზნით, რომ იქ მომზადებულიყო მამულის სამსახურისათვის; სამხედრო წეს-რიგი კარგათ შეესწავლა და შემდეგ მამულის გათავისუფლებისა ‘ გაერთიანების საქმეს შედგომოდა. რვა წელიწადი დაჰყო გარიბალდიმ ამერიკაში. როდესაც რიო გრანდეს რესპუბლიკა აჯანუდა და გათავისუფლება მოინდომა, გარიბალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმ ამ ომში მეისვე მონაწილეობა მიიღო. ის საუცხოვოთ იბრძოდა და იმისთანა სამსედრო ნიჭი და გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ მალე ეველას ეურადღება მიიპყრო და კიდეც დაწინაურდა. რაძდენჯერმე ტეეთ შეიპყრეს, მა-

გრამ ეოველთვის თავს უშველა და უვნებელი გადარჩა; ხან ხმელეთზე იბრძოდა, ხან ზღვაზე. ერთხელ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც გარიბალდი ზღვაზე იყო, ქარიშხალი ამოვარდა და ხომალდი გადააბრუნა. ოცდა თორმეტი კაცი წყალში გადაცვინდა. გარიბალდის თავისთავი ალარ გახსენებია. მიუხედავათ იმისა, რომ საშინელი ღელვა იყო, მას ყოველიფერი გადაავიწყდა და მხოლოთ იმას ცდილობდა, რომ როგორმე ამხანაგები გადაერჩინა. თექვსმეტი კაცი მაინც გამოგლიჯა სიკვდილს ხელიდან, დანარჩენები კი წყალმა დაახრჩო. ამ უბედურებამ გარიბალდი ისე შეაწუხა, რომ ნაპირზე დაჯდა და ბავშვივით ტირილი დაიწყო, ისეთი ჩვილი გული ჰქონდა. როდესაც ომი გათავდა, გარიბალდიმ შეირთო ცოლი და მონტევიდეოს რესპუბლიკაში დასახლდა, სადაც მრავალი იტალიელები იყვენ გადმოსახლებული. აქ მან ჰატარა ხანს ჩოდრობა დაიწყო, რომ ცოტა ფული ეშოვნა და ოჯახის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია; შემდეგ ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. გარიბალდი ისეთი ხასიათის კაცი იყო, რომ არაფერს არ თაკილობდა; ტყუილა ჯდომას ყოველიფერის კეთება ერჩია. როდესაც მონტევიდეოს რესპუბლიკაც აჯანუდა, გარიბალდი მას მიემხრო, იკისრა ჯარის უფროსობა, მტერი სასტიკათ დაამარცხა და მონტევიდეოს რესპუბლიკა გაათავისუფლა. მისმა ვაჟკაცობამ მთელი ევროპა აალაპარაკა. იტალიელები ხომ თვალცრემლიანნი ღმერთს შეღაღადებდენ, იქნება გვეშველოს და გარიბალდი ისეთი ჰირი გამოდგეს, რომ მტრის ხელიდან გვიხსნასო. სამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურისთვის გარიბალდი ფულს არ იღებდა, მხოლოთ სა-ხმელ-საჯმელს თხოულობდა. ერთხელ მისი გმირობით განცვიფრებული ადმირალი ლენე მის სანახავათ მოვიდა. ღამე იყო და გარიბალდის სახლში იმდენი ფულიც არა ჰქონდა, რომ სანთელი ეყიდა და აენთო. ორივემ ისე ილაპარაკეს ბნელაში, რომ ერთმანერთის სახე არ დაუნახავთ.

— ვწუხვარ, ადმირალო, რომ ბნელაში დაგიხვდით, უთხრა გარიბალდიმ გამომშვიდობებისას: — მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემთან სალაპარაკოთ მობრძანდებოდით და არა ჩემი სახის დასანახავათო. როდესაც ეს ამბავი საძხედრო მინისტრმა გაიგო, მეისვე გამოუგზავნა გარიბალდის ფული. მან მიიღო, მაგრამ მეორე დღესვე ქვრივ ობლებს დაურიგა და იმ ფულიდან თავისათვის მხოლოთ ერთი გირვანქა სანთელი იყიდა, ცოლს მოუტანა და უთხრა; — თუ კიდევ მოვიდა ვინმე, გამოგვადგებაო.

ერთხელ შიშველი მათხოვარი დაინახა, მაშინვე გაიხადა ხალათი და მისცა; მობრუნდა სახლში და მეორე ხალათი მოითხოვა, მაგრამ ოურმე მეორე ხალათი აღარ ჰქონდა; საუბედუროთ ფულიც შემოლეოდათ და რამდენსამე ხანს უხალათოთ დარჩა. საჯმელიც უბრალო იცოდა; ხორცს თითქმის სულ არ ჯამდა, რადგანაც ცხოველები ეცოდებოდა.

სანამ გარიბალდი ამერიკაში ასე მოქმედებდა, იტა-

ლიაში მამულის საუკეთესო შვილები ხალხს ამზადებდენ და ზეპირათ თუ ბეჭდვით უქადაგებდენ, ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ჯობიაო; მტერი ჩვენს მოსპობას ცდილობს და, თუ მამული არ გავათავისუფლეთ, მალე დედამიწის ზურგიდან აღვიგვებითო. დაარსდა რამდენიმე გაზეთი მხოლოთ იმ მიზნით, რომ ხალხისათვის მამულის გასაჭირი მდგომარეობა გაეთვალისწინებიათ და ჩაეგონებიათ. დაღუპვისაგან მხოლოთ აჯანუება გვისსნისო. მალე ამბოხება მოხდა იტალიის ჩრდილო ნაწილში, რომელიც ავსტრიის ხელში იყო.

ეს რომ გარიბალდიმ ამერიკაში გაიგო, მეისვე მამულს მოაშურა. მისი გემი რომ იტალიის ნაპირებს მოუახლოვდა, ურიცხვი ხალხი გამოვიდა თავის სახელოვანი გმირის დასანახავათ. გაისმა „გარიბალდის გაუმარჯოს, იტალიას გაუმარჯოსო“ ევირილი. რამდენიმე ხნის განმავლობაში გარიბალდი ვაჟკაცურათ ებრძოდა მტერს; მალე თვითონ ბოიწოდა ხალხი შემდეგი სიტყვებით:

— მამულის სასსნელათ საკუთრათ ვიწუებ ომს. ვისაც ქუდი გხურავთ და გული გერჩიტ, მომყევითო. მალე მოიყარა თავი ორი-ათას ხუთასმა კაცმა; ზოგი მოსწავლე იყო, ზოგი მასწავლებელი, ზოგი ხელოსანი, მეგვდელი, ვექილები, ექიმები, სტუდენტები და სხვა. გარიბალდი წაუძღვა მათ წინ და მიაშურა რომს, სადაც ამ დროს ამბოხება მოხდა პაპის წინააღმდეგ. პაპის საფრანგეთი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოესარჩლა და აჯანყებული რომის დასამშვიდებლათ ჭენერალი უდინო 8,000 კაცით და გემებით გამოუგზავნა. გარიბალდი შეებრძოლა მტერს; ბრძოლამ ძთელი ცხრა საათი გასტანა და უდინო საშინლათ დამარცხდა. გარიბალდიელები ისეთი თავგანწირვით იბრძოდენ, რომ აღწერა შეუძლებელია. გარიბალდი იმგვარი თვისების კაცი იო, რომ ყოველ მხდალს ვაჟკაცურ და გმირულ სულს შთაბერავდა ხოლმე. გარიბალდიმ უდინოს დამარცხებას შემდეგ ნეაპოლისაკენ გასწია, სადაც აჯანყება მოხდა. აქაც სასტიკათ დაამარცხა მტერი, მაგრამ მეორე დღესვე ფრანგებთან ხელმეორეთ მოუხდა შებრძოლება და, რადგანაც მისი ჯარი საშინელი დაქანცული იო, ამიტომ ისევ უკან დასევა ამჯობინა; რომი კი ფრანგებმა აიღეს. გარიბალდის ცოლი, ანიტა, თავის ძეუღლეს სულ თან დასდევდა და ყოველ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა, ტყვია წამალს აწვდიდა, დაჭრილებს უვლიდა. როცა მის გარშემო ტყვიას ზუზუნი გაჰქონდა, ის წარბსაც არ შეიხრიდა ხოლმე და ამ გვარათ ყველასათვის გამაძხნევებელი მაგალითი იო. რომის აღებას შემდეგ ანიტას დიდ ხანს აღარ უცოცხლია; გზაზე გარდაიცვალა და მისი უკანასკნელი სიტყვები ეს იო:

— ჯუზეპე, მამული და შვილები გებარებოდესო. ცოლის გარდაცვალებას შემდეგ გარიბალდიმ მცირე ხანს მოქმედება შესწყვიტა და გასწია ამერიკაში. აქ ის დადგა ერთ

სანთლის ქარხანაში ⁄ მამულის საუკეთესო შვილი ახლა სახელოებ გადაკეცილი ადუღებული ქონით სავსე ქვაბებს დასტრიალებდა თავს და ურევდა. მოაგროვა თავისი ოფლით ცოტადენი ფული, იტალიის ახლო იყიდა ჰატარა კუნძული კაპრერა და იქ დასახლდა. ააშენა საძთვალა ოდა; ერთ ოთახში თითონ იდგა, მეორეში ორი მისი მეგობარი და მესამე სტუმრებისათვის ჰქონდა. ოდასა და ეზოს თავის ხელით შემოავლო ეორე. გააკეთა ბაღი, დარგო მრავალი ხეხილი, ვენახიც გააშენა და ეოველიფერს თვითონ უვლიდა. თავისუფალ დროს კი სულ წიგნებს კითხულობდა ან წერდა. როდესაც ავსტრიის წინააღმდეგ იტალიაში ომი ატუდა, გარიბალდიმ მიატოვა თავისი კუნძული, გამოსწია იტალიაში, მტერი ორჯერ სასტიკათ დაამარცხა, ავსტრიას იტალიის ჩრდილო ნაწილი ლომბარდია წაართვა და მამულს შემოუერთა. გარიბალდის გმირობით ხალხი აღტაცებული იეო. მას ღვთიურ ჰატივსა სცემდენ. საცა კი გაჩნდებოდა, ეოველგან მის ეტლში ცხენებს გამოხსნიდენ, თვითონ შეებმოდენ და ისე მიჰეავდათ თავის დიდება. ავსტრიის დამარცხებას შემდეგ გარიბალდი ისევ თავის კაპრერაზე დაბრუნდა და აქ დაიწეო მეუდრო ცხოვრება. მალე სიცილიაც აჯანუდა. თავისუფლების შვილმა მეისვე იტალიას მოაშურა. მოაგროვა ათასამდე კაცი და გადვიდა სიცილიაში. ას ორმოცდა ათი დღის განმავლობაში მთელი სიცილია დაიპურო, ასი ათასამდე მტრის ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დაამარცხა და განდევნა. გარიბალდის ასეთმა საარაკო მოქმედებამ მთელი ევროპა აალაპარაკა. მარილაც გასაოცარი იყო: მოაგროვებდა რამდენსამე ას კაცს, რომლებსაც არც იარაღი ჰქონდათ, არც სამხედრო წეს-რიგი ჰქონდათ შესწავლილი, და მტრის ურიცხვ გაწრთვნილ და საუცხოოთ შეიარაღებულ ჯარს ამარცხებდა. მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ მას, რომ მტრის ჯარს აბრძოლებდა მხოლოთ უფროსების ბრძანება, გარიბალდიელებს კი ძამულის განუსაზღვრელი სიყვარული და თავისუფლების წყურვილი. გარიბალდის სისხლის ღვრა საშინლათ სძულდა, ომის დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ რა მისი ბრალი იყო, თუ კი ის მხოლოთ მამულის გათავისუფლებას ითხოვდა და უსისხლოთ კი არ ანებებდენ! მთელი ევროპიდან მოდიოდენ საუკეთესო ხირები, ტოვებდენ ცოლშვილს, სახლ-კარს, სამსახურს, რომ გარიბალდისთან ერთათ იტალიის თავისუფლებისათვის ებრძოლათ. ამგვარათ გარიბალდიმ თავის მამული მარტო იტალიელებს კი არა, უცხოელებსაც კი ისე შეაყვარა, რომ მის გასათავისუფლებლათ აამხედრა. სიცილიის შემოერთებასათანავე გარიბალდიმ მიაშურა ნეაპოლს, რომელიც ნეაპოლიტანის სამეფოს სატასტო ქალაქათ ითვლებოდა, აიღო ნეაპოლი, დაამარცხა ნეაპოლიტანის მეფის სამოცდა-ათი ათასი კაცი და ამგვარათ მთელი ნეაპოლიტანის სამეფო დაიპყრო. გაერთიანებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის მეფეთ თითქმის ყველამ ერთხმათ აღიარა სარდინიის მეფე, ვიქტორ-ემანუილი, რომელიც იტალიის აღდგენის საქმეს ძალიან უწყობდა ხელს. მეფეს უნდოდა, გარიბალდი ჩვეულებრივი საჩუქრით დაეჯილდოებია: ამ-ლია ერთი სასახლე საცხოვრებლათ, დიდი შემოსავლიანი ადგილები, მარშლობა, მაგრამ გარიბალდიმ ეოველიფერზე უარი განაცხადა: მე მამულის სამსახური ზნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია და ამისათვის სასყიდელს როგორ მივიღებო. მეორე დღეს ადგა ადრე, გამოეთხოვა თავის ჯარის კაცებს, იყიდა ერთი ბარკი ლობიო და გამოსწია სახლში კაბრერას კუნძულზე. აქ ის ცხოვრებდა სამოცდა ხუთ წლამდე, სანამ იტალიასა და ავსტრიას შორის კიდევ ომი არ ატეხა. გარიბალდიმ მეისვე იტალიას მოაშურა, იკისრა ჯარის უფროსობა, მტერი ეოველგან დაამარცხა და ვენეცია იტალიას შემოუერთა. ამ გვარათ გარიბალდიმ მთელი იტალია ერთი მეფის გვირგვინის ქვეშ შეაერთა. მხოლოთ რომი დარჩა შემოუერთებელი. გარიბალდის რომში გალაშქრება უნდოდა, მაგრამ, რადგანაც საფრანგეთი პაპის მფარველი იყო, რომის აღება უსათუოთ ომს გამოიწვევდა საფრანგეთსა და იტალიას შუა; ამიტომ გარიბალდი მთავრობამ შეაჩერა. მაგრამ ის მაინც არ მოკვდარა ისე, რომ რომი იტალიის საკუთრებათ არ ეხილა: 1871 წელს იტალიელებმა რომი სრულიად უბრძოლველათ აიღეს და იტალიას შ მოუერთეს. ამგვარათ გარიბალდიმ თავის საწადელს მიაღწია: დაქსაქსული მამული შეაერთა, მტრის ხელიდან დაიხსნა და გაათავისუფლა. დღეს იტალია ერთ დიდ, ძლიერსა და განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ სახელმწიფოს წარმოადგენს გარიბალდის წყალობით. ამდენმა შრომამ, ტანჯვამ და გულის ძგერამ გარიბალდი დაებერეს, დაასნეულეს და 1882 წელს 2 თიბათვეს მთელ ქვეყნიერებას გლოვის ზარათ მოედვა გარიბალდის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. მარტო იტალია კი არა, მთელი ევროპა შეიძრა. იტალიის ყველა ქალაქებმა გამოგზავნეს თავის საუკეთესო წარმომადგენელები კაპრერას კუნძულზე, რათა თავის მხსნელისათვის უკანასკნელი პატივი ეცათ. იტალიის ყველა ქალაქები, დაბები და სოფლები შავით შეიმოსა. ასე დიდებით დაასაფლავეს გარიბალდი კაპრერას კუნძულზე. იტალიამ დიდხანს იგლოვა თავისი დიდება, რომელიც მის თვალში თითქმის ღმერთათ გადაიქცა. ახლა იტალიაში ყოველ გლეხის სახლში ნახავთ გარიბალდის სურათს ხატებთან დასვენებულს. როცა იტალიელი გლეხი სადმე შორს ბიდის, გარიბალდის ხატს გულზე იკიდებს. ბართლაც რომ ასეთი დიდების ღირსია ის პირი, რომელმაც სიბავშიდანვე თავის თავი დაივიწყა და მთელი თავისი არსება მამულს შესწირა, მთელი თავისი ძალღონე, მისწრაფება, სურვილი მას უმსხვერპლა. მას ყოველი ტანჯული და უბედური უყვარდა და ებრალებოდა, სხვისთვის სულსაც კი არ დაიშურებდა. დაინახა, რომ მამული იღუპებოდა, გადასწყვიტა მისი დახსნა და კიდეც შეასრულა. დაიბადა მამულისათვის, იტანჯა მამულისათვის, შესწირა მას თავი, სამაგიეროთ მამული იხსნა. ამისთანა პირით მთელი ქვეყნიერობა ამპარტავნობს და სანამ დედამიწის ზურგზე ერთი ადამიანიც იქნება ცოცხალი, გარიბალდის სახელი უკვდავი იქნება.

ეანო.

ამპარტავანი სონა

ვიდი წლის სონა თეთრ-წითელი ლამაზი ცქრიალა გოგონაა. შინ ის ყველას საყვარელია, მეტათ ანებივრებენ; სოფელშიაც ბევრი ტოლ-ამხანაგი, მეგობრები ჰყავს და სუყველანი ჰატივსა სცემენ. მოწყენა იმან არც კი იცის რა არის, სათამაშოები ბევრი აქვს და სონა კარგათა ცხოვრებს. მხოლოთ ეს არის, რომ, ცოტა არ იყვეს, სუსტურიანია, გოროზი და უარშიო; მეგობარ გოგოებს ხშირათ აჯავრებს და იმათთან თავი დიდათ მოაქვს გვარიშვილობით, რადგანაც აზნაურიშვილის ქალია. მამა მისი შემლებული კაცია და სონას კარგათ აცმევენ. მის ტოლ გოგოებში იმაზე კარგათ ჩაცმულ-დასურული სოფელში არავინ გამოდის.

ერთ დღესასწაულ დღეს სოფელში ლხინი გაიმართა. უბნის გლეხის გოგოები შეგროვდენ და ხელი ხელ ჩაკიდებული ლხინში მიდიოდენ; სონასაც ამოუარეს, რომ ისიც თან წაეყვანათ.

— იჰ! თქვენთან წამოვალ სწორეთ, გლეხუჭებთანაო! ტუჩ აბზუებით გამოსძახა სონამ: — თქვენ ისეთი ბრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევები და უზდელები ხართ, რომ სადმე წამაქცევთ და ტანისამოსი მომესვრებაო; ხომ ხედავთ რა ტანისამოსი მაცვიაო.

გოგოებმა ჩუმათ ქოქოლა მიაყარეს და წავიდენ, სონაც შორი-ახლოს დაედევნა, მიდიოდა და ინდოურივით იფხორებოდა.

გავიდა კარგა ხანი და სონას მოეწყინა: ყველანი ცეკვაობდენ, მღეროდენ, ხუმრობდენ და სონას ახლა იმათთან მისვლა კიდეც რცხვენოდა, რადგანაც წელან ისინი იუკადრისა და არ გამოჰყვა. ცოტა ხანს შემდეგ სონამ შინ წამოსვლა დაუპირა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, თავს წაადგა მეზობლის ძაღლებს, რომლებიც გზაში გაწოლილიყვენ. სონამ ითაკილა, ფეხზე რატომ არ წამომიდგებიან და გზას არ მომცემენ ძაღლებიო და ერთ იმათგანს ქვა ესროლა; ძაღლი წამოხტა და დაჰყეფა, ამას მეორეც აჰყვა. შეშინებული სონა თან გარბოდა, თან უკან-უკან უბრუნდებოდა ძაღლებს და გაკაპასებული ქვებს აყრიდა, როგორ მიბედავთ, რომ მეეფთ და მომდევთო! გაბრაზებული ძაღლები უფრო და უფრო ეტანებოდენ... სონამ კიკილი მორთო და მემვიან ღობეს ზედ ეკრობა, ძაღლებმა არ მიკბინონო. მოცვივდენ გოგოები, რომლებთან წასვლასაც სონა თაკილობდა და ძაღლები მოუგერეს. სონას ტანისამოსი, ფეხსაცმელები და წითელი ჩულქები დაჯმუჯნული, დახეული, დასვველებული და ლაფში მოსვრილი ჰქონდა: ძაღლებისაგან შეშინებული ის გზას ალარ არჩევდა, უგზო-უკვლოთ გარბოდა, ხან რუში ვარდებოდა, ხან წუმპეში. ამასთან ხელები მემვებისაგან დაკაწროდა და სისხლი გაემოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ გახადა ტანისამოსი, სხვა ჩაცვა, დაბანა და ისევ ლხინში გაგზავნა. სონა სირცხვილითა და მწუხარებით იწოდა: ეველა მის ტოლებს სადა, მაგრამ ახალი ტანისამოსები ეცვათ, სონა კი ძველებში იყო.

— წადი, აგრე ამოწუწული, ძონძებში იარე და შენ თავს დააბრალეო—მიამახა გაჯავრებულმა მამამ.

თეოფ. კანდელაკი.



ვ ა ფ ლ ი.

(რუსულიდან)

როდის სასახლეში ცხოვრებდა ერთი კარის კაცი, რომელიც ყოველთვის მვირფას, ქსოვილ ტანისამოსს იცვამდა და სული ქეიფში ატარებდა თავის სიცოცხლეს. ერთხელ შორიდან მოვიდა მასთან სანახავათ მისი სიყმაწვილის მეგობარი, რომელსაც დიდი ხანია არ ენახა ის. მოსვლით გახარებულმა მეფის კარის-კაცმა გაუმართა დიდი ნადიმობა და მიიპატიჟა ეველა თავის მეგობრები. ნადიმი შესანიშნავი იყო. ურიცხვი საჭმელები ოქრო და ვერცხლის ლანგრებზე ელაგა, სხვა-და-სხვა მვირფასი სასმელები ამკობდენ მაგიდას. მასპინძელი სუფრის თავში იჯდა, მან გვერდით მოისვა სტუმარი-მეგობარი, ეველა ჭამდენ, სვამდენ და მხიარულობდენ. მეგობარი უქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა მასპინძელს სიმდიდრეს და სახლის მოწყობილობას, მეცირფას ნადიმობას, იმას არაოდეს არ ენახა თავის სამშობლოში ამ ნაირი სიმდიდრე. აღტაცებაში მოდიოდა და ამტკიცებდა, რომ მისი მეგობარი ძალიან ბედნიერი უნდა ეოფილიეოს. ამის პასუხათ მასპინძელმა აიღო ოქროს ლანგრიდან დიდი წითელი ვაშლი და მიაწოდა თავის სიყრმის მეგობარს შემდეგი სიტყვებით: „აი ეს ვაშლი ოქროს ლანგარზე რომ მევს, ძალიან ლამაზიაო“.

სტუმარმა აიღო ვაშლი, გაჭრა და შიგ ჭია ნახა. მაშინვე შეხედა მასპინძელს, მაგრამ კარის კაცმა თვალები ძირს დაუშვა და ერთი მძიმეთ ამოიოხრა.

ბესარიონ ვაშაძე.

მენავე და ვაჭარი.

(რუსულიდან)

ითი მოკვდა მამაშენიო? ჰკითხა ვაჭარმა მენავეს.

— წყალში დაიხრჩოვო! უპასუხა მენავემ.

— პაპა შენი რიღათი მოკვდაო?

— ისიც წყალში დაიღრჩოვო!

— კაცო, მაშ შენ რატომ არ გეშინია წყალში ნავით სიარულისაო?!

პასუხის მაგივრათ ახლა მენავემ ჰკითხა ვაჭარს:

— სად მოკვდა მამაშენიო?

— ლოგინშიო! მიუგო ვაჭარმა.

პაპა შენი?

— ისიც ლოგინში!

— კაცო, მაშ შენ რატომ არ გეშინია ყოველ ღამე ლოგინში წოლისაო?! ჰკითხა მენავემ. ვაჭარმა პასუხი ვეღარ მისცა.

ო. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები.

(წარმოდგენილი ვანო ლალიაშვილისაგან).

კარგი კაცის პურ-მარილი
ზღვაზე ხიდათ გაიდება;
როცა კვდება კარგი კაცი
მკვდარი ცოცხლათ ჩაითვლება.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

სიტყვას ასი ტყვია ესროლეს ₾ კი ვერ მოარტყესო.

—

ძუნწსა ჰგონია სამოთხეს ფულით ჰყიდიანო.

—

გიჟი მოზვერი დააბი, აუშვი ისევ გიჟიაო.

—

შაშვსა რათ უნდა ლაგამი, ბულბულსა უნაგირიო.

ანაგრამმა.

(წარმოდგენილი მ. სივე).

პირველი არის ნადირი
ფრთხილი და გონიერია;
შეუპოვარი, გულადი,
სწრაფი და ლონიერია.
მეორე, არის მინდორი
საცქერლათ შვენიერია;
მორთულსა ყვავილებითა
შეხარის კაცი, ერია.
ორივე ოთხი ასოთი
ადვილათ დასაწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ა.

გარედან არის ყვითელი,
შიგნიდან ეარდის ფერია;
გაფცქვნაში დანა არ უნდა,
არც ჩანგლით შესაჭმელია;
სანათური აქვს ბოლოში
ჰაერის შესასველელია;
ქერქი არ ეარგა გული კი
საჭმელათ გემრიელია.
გამოიცანით რა არის,
შემოდგომისა ხილია.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ერთი რამეა უსულო, წყალი იმისი მტერია,
ისიც ვერ გაძლებს უწყლოთა, იმისი საქმე ძნელია;
მოცდება მუშა, გუთანი და ვერა სწირავს ღვდელია.

(წარმოდგენილი ი. მასხარაშვილისაგან.)

სული ღვთისა, პირი ხისა, მუცელი აქვს ყველას ცხვრისა.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ივ. დარჩიასაგან).

ნეტავი ჩვენ ერს, გონიერო მამულის შვილო!
იგი ამაყობს და შეჰხარის დღეს შენს სახელსა,
კიდით კიდემდე რომ შემოველო ეს საქართველო,

ორსაც ვერ ვპოვებთ შენებრ მხნე კაცს, და მოლვაწესა,
ლომიეით ებრძვი ბოროტებას, ბოროტის ჩამდენს,
არ გაეიწყდება რაც არს შენი მოვალეობა.
ძეო მამულის, მოძმეთათვის მუშაობ ამდენს;
ერიც უფალს თხოვს ხანგრძლივი ჰყოს შენი ცხოვრება.

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველ სიტყვასა ვიტყვით ჩემობით:
„ვიმყოფებიო“ ამასა ნიშნავს.
მეორე სიტყვას ვუხმობთ დედის ძმას...,—
მთლათ ტაძარია, ბევრს არ გვინახავს.

გეომეტრიული ამოცანა.

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისაგან).



აბა ეს ნახატი რვა ნაწილათ გაჰყავით ისე, რომ თითოეული ნაწილი ერთი მეორის ტოლი გამოვიდეს სივრცითაც და მოყვანილობითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ IX გამოცანებისა.

გ ა მ ო ც ა ნ ა: 1) ბაქოდან თბილისში ჩამოვედი ჰოეზდით; მატარებლიდან ფეხი ძირს არ გადმომიდგამს და სკამებს შუა კი მთელ დღეს დავდიოდი.

2) სახნისი.

შ ა რ ა დ ა: ცახელი.

ზ მ ა გ ა მ ო ც ა ნ ა: მეხი, ბელი, ციხე, ღარი.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი: სეტყვა.

რ ე ბ უ ს ი: ნათელი ჰფარავს მა'მინ სამშობლოს,
როდესაც შვილი მის ერთგულია,
თუ ენა მშობლის მან კარგათ იცის
და მისთვის სიკვდილს მონატრულია.

რებუსი ახსნა: ქ. გორში ვანო ლალიაშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი ს. თუმანიშვილი-ჩერეთლისა.